ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომა

ოქმი №7

01 მარტი, 2017 წელი

ქ. ახმეტა

თავმჯდომარეობდა: გელა ჯუგაშვილი-ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ბიუროს სხდომას ესწრებოდა: თ. წითელაური, რ.ბაღაკაშვილი,თ.ბოდაველი
დ.მურთაზაშვილი, გ.ქიტესაშვილი,
ა.მექვევრიშვილი, მ.ალხანაშვილი
ზ.გარსევანიძე, ი.უჯირაული

სხდომა გაიხსნა 14[00] სათზე.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარე გელა ჯუგაშვილმა გახსნა სხდომა და ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. „ახმეტის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 იანვრის N2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი - ვ.ნასყიდაშვილი/

2. საკრებულოს წევრის მამუკა ხოლეგაშვილის პირადი განცხადების საფუძველზე უფლებამოსილების შეწყვეტის, ცნობად მიღების შესახებ;

3. ფრაქცია ,,ქართული ოცნების" დაშლის ცნობად მიღების შესახებ;

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი, რომელსაც მხარი სხდომაზე დამსწრე ყველა წევრმა დაუჭირა.

<u>მოისმინეს:</u> ,,ახმეტის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 იანვრის N2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელმა გააცნო პროექტი ბიუროს დამსწრე წევრებს:

ახმეტის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტში ცვლილებების პროექტით საშემოსავლო ნაწილის ზრდა გათვალისწინებული არ არის და შეადგენს 7624,6 ათასი ლარს.

გადასახდელები

**მუნიციპალიტეტის საკრებულო**

**კლება (-)**

- ხელფასი - 8,0 ათასი ლარი.

- წარმომადგენლობითი ხარჯი -1,0 ათასი ლარი.

- ნორმატიული აქტების გამოცემის ხარჯი -5,0 ათასი ლარი.

**გამგეობა**

**კლება (-)**

-ხელფასი -30,0 ათასი ლარი.

-აა(ი)პ კომპლექსური სასპორტო სკოლა -3,0 ათასი ლარი (სუბსიდია).

-აა(ი)პ ზვიადაურის სახ. ძიუდოს სკოლა -18,0 ათასი ლარი (სუბსიდია).

-აა(ი)პ საფეხბურთო სკოლა „ბახტრიონი" -4,0 ათასი ლარი (სუბსიდია).

-აა(ი)პ სამუსიკო სკოლების გაერთიანება -7,0 ათასი ლარი (სუბსიდია).

-აა(ი)პ სოციალური სახლი -20,0 ათასი ლარი (სუბსიდია).

-აა(ი)პ ტყე-პარკის წყაროები -4,0 ათასი ლარი (სუბსიდია).

მატება (+)

-სპორტული ინფრასტრუქტურა + 15,0 ათასი ლარი (კაპიტალური).

-გზა +40,0 ათასი ლარი, მათ შორის ხიდი + 10,0 ლარი (კაპიტალური).

-საბავშვო ბაღები +20,0 ათასი ლარი (კაპიტალური).

-აა(ი)პ სოციალური სახლი +10,0 ათასი ლარი (კაპიტალური).

-წყლის სისტემები +15,0 ათასი ლარი. (კაპიტალური).

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა პროექტის მიღებას, რასაც ბიუროს წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი.

საკრებულოს აპარატის უფროსმა დავით შაშიაშვილმა ბიუროს წევრებს გააცნო საკრებულოს აპარატში შემოსული მამუკა ხოლეგაშვილის განცხადება საკრებულოს წევრობის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ. შესაბამისად, მას შეუწყდა იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის თანამდებობრივი უფლებამოსილება.

საკრებულოს ბიუროს მიერ ცნობად იქნა მიღებული მამუკა ხოლეგაშვილის განცხადება.

იურიდიულ საკითხთა კომისიის უხუცესმა წევრმა თეიმურაზ ბოდაველმა გააკეთა განცხადება, რომ აღნიშნულმა ფაქტმა გამოიწვია ფრაქციის „ქართული ოცნება" დაშლა და ფრაქციის თავმჯდომარის არჩილ მექვევრიშვილის თანამდებობრივი უფლებამოსილების შეწყვეტა.

საკრებულოს ბიურომ ცნობად მიიღო აღნიშნული საკითხი.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დამსწრე საკრებულოს წევრებს: ხომ არ სურთ რაიმე წინადადების დაყენება.

სხვა წინადადებები და შენიშვნები არ ყოფილა.

ბიუროს სხდომა დაიხურა 14[50]საათზე.

საკრებულოს თავმჯდომარე: გელა ჯუგაშვილი